განკარგულება:**g-95. 95262431**

თარიღი:**31/08/2026**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხემნაში, მე-2 ქუჩის I - შესახვევის №5-ში მდებარე 736.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.33.764), რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (2026 წლის 11 აგვისტოს №3543/02 წერილი) მოითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქედის ადმინისტრაცია, დეპარტამენტის წინაშე მდგარი რიგი საქმიანობებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, მათი ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის ესაჭიროება ქედის მუნიციპალიტეტში დამატებით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა. შემდგომში, ლოჯისტიკისა და ქონების მოვლა-შენახვის სამუშაოების მომსახურებისათვის შუალედური სასაწყობე ბაზის მოსაწყობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დასახელებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხემნაში, მე-2 ქუჩის I - შესახვევის №5-ში მდებარე 736.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდი N21.03.33.764).

2.ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი